

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Дროба“.

გაზეთის შასი: მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

სალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

შასი განსხვავებისა: ღირს კო-ეზით ასობზე—1 კაპ., ასო-მთარულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივით ცნ-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გა-ასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კამერაპურლი, 5 აპრილი. ნამდვილათ შეეცაყეთ, რომ აღეკო-ფაშა, სომოის მმართველის შვილი, დაუნინავეთ 5 წლით გენერალ გუბერნატორათ აღმო-საველეთის რუმელიისა ის არის მართ მაღიდებელი, ბოლგარიის შთამომავ-ლობისა.

„Новое Время“-ს შაუტყეია, რომ შალუევის თავმჯდომარეობით სდგება კამისია, რომელმაც უნდა განიხილოს ის ღონისძიებები, რომელნიც აუცილებ-ლათ წარმოსდგებიან ამ უკანასკნელ ამ-ბების ძალით ამ ღონისძიებებში არის სხვათა შორის გაყვანილი ჰაზრი, რომ რუსეთი უნდა განიყოს თორმეტ დრო-ებითი საღენერალ გუბერნატოროთ.

სამართველო

შეიძლება თუ არა გაყვანილ იქმნას „დროების“ მე—47, 48, 49 №-ბში“ მოყვანილი ცოდნანი ჩვენს სასოფლო და სამოქალაქო შკოლებში?

(ზაგრძელება)

შეიძლება თუ არა გაყვანილი იქმნას ამ გვარად დაწესებული სასოფლო შკო-ლებში ის ცოდნანი, რომელთაც ჩვენ ეთხოვლობდით წინა სტატიებში? ჩვენი პირდაპირი პასუხი არის—შეიძლება! მაგრამ. რომ მკითხველი თვითონვე ცხადად დარწმუნდეს ჩვენი პასუხის სი-მართლემში, საჭიროდ ვრაცხთ აქვე დაწვრილებითი პროგრამა მოვიყვანოთ, ყველა ჩვენ სტატიაში მოხსენებული სასწავლო საგნებიდამ. თქმა არ უნდა, რომ ჩვენგან წარმოდგენილი პროგრამ-მა სრული პროგრამა არ იქნება, რად-განაც იგი მხოლოდ ერთის პირის მხრით არის წარმოდგენილი; თქმა არ უნდა, რომ ეს პროგრამა მთელი კრების წი-ნაზე შესაძლებელია ძირიანად შეცვლი-ლი იქმნეს, მაგრამ ჩვენ ჩვენის მხრით მაინც ვიტყვი, საფუძველს დავდებთ.

თუ მკითხველს ანსოვს წინა სტატია-ში ჩვენ ვამბობდით, რომ ყველა სა-სოფლო და სამოქალაქო სასწავლო-ლებში უნდა ასწავლონ შემდეგი საგ-ნები: წერა-კითხვა, არითმეტიკა, გეო-მეტრია ერთად გეომეტრიულ მხატვრო-

ბასთან, ფიზიოლოგია, გიგენა, მედი-ცინა, სამეურნეო-ნაწილი, ხიმია-ფიზი-კა, პედაგოგია, გეოგრაფია, საღმრთო და საერო ისტორია, მუსიკა და გალო-ბა. შევანწილოთ ეს სასწავლო საგნები ერთის კვირის გაკვეთილებად:

	შეროსი გან-ყოფილება.		შმცროსი განყოფილ.	
	მასწავლებლის გაკვეთილები.	სიავისუფალი გაკვეთილები.	მასწავლებლის გაკვეთილები.	სიავისუფალი გაკვეთილები.
ა) წერა-კითხვა.	3	3	3	3
ბ) არითმეტიკა, გეო-მეტრია, მხატვრო-ბა.	2	2	2	2
გ) ფიზიოლოგია, გიგენა, მედიცინა	2	2	2	2
დ) სამეურნეო-ნაწი-ლი, ხიმია-ფიზიკა.	2	2	2	2
ე) გეოგრაფია, პე-დაგოგია.	2	2	2	2
ვ) საღმრთო და საე-რო ისტორია.	2	2	2	2
ზ) მუსიკა, გალობა, გიმნასტიკა.	2	2	2	2
სულ კვირაში იქ-ნება.	15	15	15	15

ამ გაკვეთილებიდან თითონ მასწავ-ლებელი მიჰსცემს თითო განყოფილე-ბას ერთ კვირაში ხუთმეტ-ხუთმეტ გა-კვეთილებს, გარდა ამდენივე თავისუფა-ლი გაკვეთილებისა. წელიწადში რომ ვიანგარიშოთ შეიძლი თვე სწავლა, ე. ი. 28 კვირა, გამოვა, რომ თვითონ მას-წავლებელი მიჰსცემს თითო განყოფი-ლებას და თითო სასწავლო საგნიდამ 56 გაკვეთილს. რადგანაც სწავლა ჩვენ სასოფლო შკოლებში გრძელდება ოთხი წელიწადი, გამოდის, რომ სწავლის დასრულებამდე მასწავლებელი მისცემს თითო საგნიდამ 4x56 გაკვეთილს, ანუ 224 გაკვეთილს. მე გვინათ, რომ 224 გაკვეთილით, თუ შკოლა კარგად არის დაწყობილი და დაფუნდებული, ძალიან შესაძლებელია გარდაცემულნი იყვნენ უმთავრესნი და უუსაჭიროესნი ცნობანი ყველა შემოთ აღნიშნულ საგ-ნებიდამ. ამის ცხადად დანახვისთვის არაფერი საჭირო არ არის იმის მეტი, რომ პროგრამა ვაჩვენოთ მკითხველს და ჩვენც ამას შეუდგეთ.

ა, წერა-კითხვა. გვინათ აღვიღად შესაძლებელია გვა-

რინი წერა-კითხვის შესწავლა სასწავ-ლებელში, სადაც თვით შესწავლებელი გარდასცემს თითო განყოფილებას ოთხ-ნის წლის განმავლობაში 3x56x4=336 გაკვეთილს. ამდენი გაკვეთილებით გვინათ შესაძლოა კარგათ გარდვიკით-ხოთ სასოფლო შკოლაში იაკობ ბო-გებაშვილის „ღედა რა“ და „ბუნების კარი“, გარდაცეთ საჭირო გრამატკუ-ლი ცნობანი და ამასთან ხეირიანი წე-რაც ვასწავლოთ.

ბ) არითმეტიკა, გეომეტრია და გეომეტრიული მხატ-ვრობა.

აგრეთვე აღვიღად შესაძლებელია გვარიანად გარდაცეს უსაჭიროესნი ცნობანი ამ საგნებიდამ 224 გაკვეთი-ლით, სახელდობრ: ყოველ-მხრივი შეს-წავლა 1—20; ყოველ-მხრივი შესწავლა 20—100; შემდეგ ნუმერაცია და ოთხი მოქმედება, რა ზომის რიცხვებდაც უნ-და იყოს. გეომეტრიადამ: (რადგანაც ა საგნის შრავალი ტერმინები ჩემდა სამ-წუხაროდ ქართულად არ ვიცოდი, ამიტომ ამის პროგრამა მომყავს რუ-სულ ენაზე): наглядное знакомство съ геометрическими тѣлами: кубъ и черче-нiе прямыхъ и непрямыхъ угловъ, параллельныхъ и непараллельныхъ ли-нiй; призма и черчение треугольниковъ и многоугольниковъ; цилиндръ, конусъ, шаръ и черчение различныхъ линий и окружностей. Измѣренiе длины пря-мой на полѣ (мѣрная цѣпь) и нанесенiе ея на бумагу (масштабъ). Понятiе о подобii линий и фигуръ и съемка пла-новъ; измѣренiе площадей фигуръ, а также поверхностей и объемовъ геометрическихъ тѣлъ.

გ) ფიზიოლოგია, გიგენა, მე-დიცინა. (224 გაკვ).

აღამიანის სისხლზე: სისხლის ბრუნვა, გული, აღზნება ანუ ანთება სისხლისა, დაზნავე სისხლისა, ციებ-ცხელება; სას-მელები: წყალი, ღვინო, არაყი, რძე, ჩაი, რკოს ყავა. თივის ტვინი და მისი ავთიმყოფობანი; ხერხემალის ტვინი და მისი ავთიმყოფოფანი; მოვლა ამ გონე-ბის ორღანობისა. სხეულის კანი: ოფლი, გაციება; მოვლა კანისა და გა-ზანვა. სუნთქვა და ფლტვები: კარგი და ცუდი ჰაერი, გაწმენდა ჰაერისა, გუ-ლის შემოყრა, დაცვა სუნთქვის ორღა-ნობისა. საჭმლის მოსაწმენდელი ორ-ღანობი, ღვიძლი, ნაღველა, ტყიპი, ამისი დასიება; საჭმელები: ხორცი,



კვერცხი, ქონი, ყველი, პური, ლობიო, მწვანილი, სოკოები, ხილი, შესანელებელი მასალები; მოვლა ანუ დაცვა მოსანელებელი ორღანოებისა. შემდეგ— მხედველობითი, მსმენლობითი, ყოლის, გემოსი, შეხებისა, გრძობისა, ხმისა ორღანოები, უღრესნი ავთომყოფობანი ამა ორღანოებისა და მოვლა ანუ დაცვა ამავე ორღანოებისა. დასასრულად: საცხოვრებელი ადგილი—სახლი, არე-მარე, ჰავა და ავთომყოფის მოვლა. ამ საგნების შესახებ ჩვენ გვინდა ესთქვით შემდეგი: ჩვენმა სასოფლო შკოლებმა კარგად უნდა ჩაუწერგონ ახალ თაობას, თუ რაში მდგომარეობს ადამიანის სიმრთელი. ჩვენ კარგათ უნდა აუხსნათ, რომ სიმრთელი არის საკუჭნაო ჩვენი სხეულის ძლიერებისა; თუ ეს ძალანი იხარჯებიან ცუდ-უბრალოდ (ცუდ-ცხოვრებაში), მაშინ იგინი ნელ-ნელა მცირდებიან, ვიდრე თვით სხეულიც გახდება ავად, ე. ი. ვიდრე ეს სიმრთელი ადამიანისა ამკარად არ დაირღვევა. უნდა კარგათ ჩაუწერგონ მოწაფეებს, რომ თვით ავად-მყოფობა კი არ არის მიზეზი ყოველ-გვარი უბედურებისა სახლში, არამედ ის წარსულია, როდესაც ცუდ-უბრალოდ იხარჯებოდნენ სხეულის ძალანი, ერთი სიტყვით მოწაფეებმა კარგათ უნდა გაიგონ, რომ ჩვენთვის საშიშარია არა თვით ავად-მყოფობა, არამედ ცუდად დახარჯვა ჩვენი სხეულის ძალათა.

აგრეთვე საჭიროა ჩაუწერგონ ჩვენ მოზარდ თაობას, რომ მრავალჯერ კერძო ადამიანის მეცადინეობა თვისი სიმრთელის დაცვაში სრულიად უნაყოფოა ჩაივლის, თუ ამ შემთხვევაში მთელი სოფლობით არ შეებრძვიან სენის მიზეზს. მაგალითად: სოფელში ციებ-ცხელება სხვათა-შორის იქილამ არსებობს, როს სოფლის ახლო-მახლო ჭაობები გულდობენ. ამ შემთხვევაში კერძო პირისათვის სრულიად შეუძლებელია ციებ-ცხელების ძირეული მიზეზის მოსპობა, ამოწყვეტა. ციებ-ცხელება მხოლოდ მაშინ ამოიკვეთება, როდესაც მთელი სოფელი, როგორც ერთი კაცი, დაესევა ამ ჭაობებს და არსების გათხრით თუ სხვა საშუალებით სრულიად ამოაწრობენ მათ. თუ სოფლის დასაღვეი წყალი ცუდია, ასე რომ მრავალ სენებს ჰხადებს სოფელში, რა უნდა ჰქმნას კერძო მეცადინეობამ? აქაც საჭიროა სოფლობით საქმის გარიგება და სხე... მართლდ სიტყვა კიდევ: საჭიროა, რომ მასწავლებლებმა ცხარე ბრძოლა აუტეხონ მკითხველებს, რომელთაც სრულიად გააწყალეს ჩვენი გლეხობა. აგრეთვე აუღსნათ და ჩაუწერგონ მოწაფეებს ერთი დოქტორის ანუ ფერზლის, აფთიაქის და საავთმყოფო სახლის საჭიროება სოფელში. შეტეს ნაწილად სოფლის ავთომყოფებს არა აქვსთ ხერიანი თბილი, მშრალი, ნათელი ოთახი, არა ჰყავთ მკოდნე მომეღელი და სხე. სად წავიდნენ, ვის მიმართონ ამ საწყლებმა, თუ არ საზოგადო საავთმყოფო სახლს!

დ). სამეურნეო ნაწილი და ხი-
მია-ფიზიკა. (224 გაკვ.)

სამეურნეო ნაწილი: საილამ და როგორ ჩნდება მიწის ნიადაგი, სხვა და სხვა გვარი ნიადაგი; მინდვრების შემუშავება და ამისათვის საჭირო იარაღები; სასუქით განაყოფიერება მინდვრებისა, ამის საჭიროება და სხვა-და-სხვა სასუქები; დათესვა, თესლის არჩევა, დასათესი იარაღები, მოვლა მცენარეებისა ამოსვლის შემდეგ, მკა, გათიბვა, და საპურე მცენარეების შენახვა მინდვრები-დამაკრფის შემდეგ. ცნობანი ბაღოსნობა-ზე: თესლის ამოსვლა და მცენარის კვება, მცენარეების ნაყოფიერ ყოფა, სუნთქვა მცენარეებისა; ხეების და ბუჩქების გამრავლება: ა) თესლით, — დამზადება თესლისა, დათესვა, პატარა ხეების გაზდა; ბ) სხვა-და-სხვა გვარი ნამყენობით; გ) რქებით; დ) გადაწვენილი ტოტებით (отводками). ამის შემდეგ ყურძნის, ხილის ბალის და ცოცხალი ღობეების გაშენება. აგრეთვე უუსაჭიროესნი ცნობანი შინაური პირუტყვის და ფრინველის გაშენებაზე და მოვლაზე. შაზიკილამ და ხიმილამ: წყალი, სხვა-და-სხვა წყლები, როგორ უნდა გაიწმინდოს ცუდი წყალი, წყლის შექადინებელი ნაწილები, წყლის ორთქლი, ცვარი, ნისლი, ღრუბელი, თრთვილი, წვიმა, თოვლი, სეტყვა. ჰაერი, მისი არსებობა, ტემპერატურა და ტერმომეტრი, ჰაერის სიმძიმე, ჰაერის შედგენილება. მალნიტის ძალა და ელექტრო. თქმა არ უნდა, რომ ყოველი ეს მომეტებულათ თვალთა თვალ-და-თვით საქმეზე უნდა იყვეს შესწავლილი.

მ). პედაგოგია, გეოგრაფია.

აგრეთვე მგონია ძნელი არ იქნება, გარდაცვით უუსაჭიროესნი ცნობანი ბავშვის ფიზიკური, გონებითი და ზნეობითი აღზ-დილამ, თუნდა მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ამ ცოდნას შეიცავს ბავშვის წიგნი „აღზდა შეილისა“, რომელიც, როგორც მახსოვს, „სასოფლო მავთუშია“ იყო ნათარგმნი: პირველი დღეები ბავშვის დაბადების შემდეგ, საილამ იზადება ბავშვის ცუდი ზნე? როგორ ავიცილოთ ცუდი ზნე და მის მაგიერად მივცეთ კარგი? წესიერი ცხოვრების საჭიროება ბავშვის აღზრდაში; პირველი დაჯდომა და პირველი ფეხის ადგმა; როგორ დაეხსნათ მოსიარულე ბავშვი სხვა-და-სხვა ფათერაკისაგან? როგორ შევაჩვიოთ ბავშვი თვით-მოქმედებას? როგორი სათამაშოები უნდა მიეცეს ბავშვს? ტან-საცმელი, ფეხ-საცმელი, სმა-ჭამა. მორჩილობა, დაჟინებულობა, თავის-მოყვარეობა, შური, სიცრუე, ქურდობა, შიში; როგორ გავხსნათ ბავშვში სიმართლე და როგორი კეთილი ხასიათი, ამხანაგობა. შესწავლა გარემომოყოფ საგნებისა და მოვლინებებისა. წიგნების კითხვა. შესწავლა სამშობლო ენისა. შესწავლა დათვლისა. შკოლაში გამზადება...
ყოველი ამის გარდაცვმა შაიძლება დიწყოს მასწავლებელმა მესამე წლილამ ვიდრე სწავლის დასრულებამდე.

პირველ ორ წელს, კერძო მასწავლებელი
მოახმარებს სამშობლო ქვეყნის შესწავ-
ლას (გეოგრაფიას).

გეოგრაფიილამ. შკოლის და მას შინა მყოფ საგნების პლანზე დახატვა, ქვეყნის მხარეები, კომპასი. ზეითი პირის სახე სამშობლო ადგილისა (реліеф ридини): ვაკე ადგილია, ბორცვიანი, თუ მთიანი? საით არის დაშვებული ეს ადგილი? (ეს შეიტყობა კომპასით, ვატერპასით, წყლების მამდინარეობით). თუ არიან ბორცვები, მთები, საჭიროა გამოიკვილონ მათი ურთი-ერთ შორის მდებარეობა, მათი სიმაღლე, მათი გვერდების მიმართულება (ბორცვების, მთების სიმაღლის გასაზომად უნდა იხმაროთ უბრალო საშუალება: შეადაროთ დარჭობილი არმინის თუ საყენის ჩრდილის სიგრძე ბორცვის ანუ მთის ჩრდილის სიგრძე თან). საჭიროა გამოიკვილონ კორდების მიმართულება: მისი სათავე, დაცემულია თუ აწეული, სიგრძეზე იმყოფება მთებს და ბორცვებს შუა, თუ სიგანეზე. სამშობლო ადგილის ჰავა: ადგილის ჰავაზე ყველაზე ცხადათ ზედ-მოქმედებენ სიბზო და სინოტიე ჰაერში, სისქე ჰაერისა, სითხე და სხე... ჰაერის სიბზოზე ზედ-მოქმედებს ქვეყნის სიგანე (широта страны), მაგრამ სასოფლო შკოლის შეგირდებისათვის ეს ძნელი გასაგებია. მაგრამ ქვეყნის სიგანი-საგან წარმოსდგება ორი მოვლინება— მზის სიმაღლე და დღე და ღამის სიდიდე; ეს ორივე მოვლინება ყოველთვის თვალ-წინ არის და ადვილი გასაგებია. აქ გნომონი ყველაფერს ცხადად აუღსნის მოწაფეს. (ზნომონი არის გეზი ჯოხი, რომელიც დარჭულია გრგვალ-ლი ფიცრის შუა-გულში). ამ იარაღით შეიძლება გამოყვანილ იქმნეს ნამდვილი ქვეყნის მხარეები; შეიძლება იქმნას მზის საათი; ტრანსპორტირის შემწეობით შესაძლებელია გაიზომოს მზის სიმაღლე; ამას გარდა შავირდები აკვირდებიან ტერმომეტრს, იკვლევენ დასწერენ ერთ რვეულში ჰაერის ტემპერატურას, (სიბზო სიცივის) დღე და ღამის საშუალო ტემპერატურას, სიდიდეს დღე და ღამისას, ჰაერის საზოგადო მდგომარეობას, როდენობას წვიმისა თუ თოვლისას ერთ კვადრატულ ზომაზე... აქედამ შაიძლება გამოყვანილ იქმნას შემდეგი ცნობანი: როდის არის ხოლმე უტმცირესი ჩრდილი (9 ივნის; ე. ი. უუღიდესი სიმაღლე მზისა); აგრეთვე უუგრძელესი ჩრდილი (9 დეკემბერს, ე. ი. მზის ძალიან დაბლა მდებარეობა).

რადგანაც ჰაერის სიბზოზე ზედ-მოქმედებს ქვეყნის სიგანის გარდა, თვით ადგილის მაღალი მდებარეობა, ამიტომ შავირდებმა უნდა ჰზომონ და შეადარონ ხოლმე მაღალი და დაცემული ადგილების ტემპერატურა, რადგანაც ადგილის გვერდების მიმართულებასაც დიდი ზედ-მოქმედება აქვს ჰაერის სიბზოზე, ამიტომ საჭიროა, რათა ყმაწვილებმა გამოიკვილონ ერთ-გვარი ნიადაგის ტემპერატურა სხვა და სხვა გვერდებისა, თუ რამდენად ათბობს მათ მზე. აგრეთვე

შაიძლება უჩვენოთ მცენარეობაზე სხვა და სხვა გვერდებზე (როდის რომელი ჰყვავის, იშლება) და სხვ. მცენარეობა სამშობლო ადგილისა: ტყისა, მინდვრისა და შესამუშავებელი მცენარეები. უნდა გამოიკლიონ ის დამოკიდულება, რომელიც არსებობს მცენარეთა და ადგილ-ნიადგის თვისებებს შორის და აგრეთვე ჰაერის სითბოსა და სინოტიეს შორის. ამის გულისათვის მასწავლებელი გაცნობს შაგირდებს იმ მცენარეებს, რომელნიც ეკუთვნიან მხოლოდ ერთ თუ მეორე ნიადგს. შემდეგ უჩვენებს იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს ერთ და იგივე მცენარეთა შორის (სიდიდით, ფოთლებით, ცვარიაზობით) იმ მიზეზისაგან, რომ იგინი აღმოცინებულიყვნენ სხვა და სხვა გვარ ნიადგზე, ანუ იმ მცენარეებზე, რომელნიც იზრდებიან ერთ და იგივე ნიადგზე, მაგრამ სადაც ერთ გვარად არ თბილა ერთ გვარად არ არის განათებული, გვერდების სხვა და სხვა მხრივ მიმართულების გამო (გვერდები ჩრდილოეთისანი და გვერდები სამხრეთისანი).

სხოველები: აქაც უნდა უჩვენოთ მოწაფეებს ცხოველებისა, ფრინველებისა, მწერებისა და მკურავეების, დამოკიდებულება მცენარეობაზე, ადგილის, ჰაერის თვისებაზე და სხვ.

მცხოვრებნი: აქაც უნდა უჩვენოთ ბუნების ზედ-მოქმედება სხვა და სხვა აღამიანის წარმოებაზე, და პირიქით აღამიანის ზედ-მოქმედება ბუნებაზე. აჩვენეთ აგრეთვე მცხოვრებლის ტანსაცმელს, საჭმელ-სასმელსა, სადგომებს და თვით ადგილ-ჰაერისა შორის კავშირი.

შველა ამის შემდეგ ამ გვარათვე და მოკლეთ უნდა შეასწავლონ მთელი ჩვენი ქვეყნის და ქვეყანის გეოგრაფია, განსაკუთრებით ფიზიკური გეოგრაფია. ქვეყანის შესწავლის შემდეგ მოკლედ სხვა და სხვა სახელმწიფოების შესწავლა ყველა ქვეყნის ნაწილებში. ქვეყანის გარშემო-მყოფ ქვეყნებთან (რუსეთი, ოსმალეთი, სპარსეთი, საბერძნეთი), რომლებთანაც ჩვენ ქვეყანას ოდესმე ჰქონდა კავშირი, უნდა შესწავლილი იყვნენ უფრო ვრცლად, ვიდრე სხვა ქვეყნები. როგორც საქართველოს, აგრეთვე მთელი ქვეყანის და სხვა ქვეყნების გეოგრაფიის შესწავლის დროს უნდა ყურადღება მიაქციოთ მომეტებულიად ფიზიკურ გეოგრაფიას, რადგანაც ეს ნაწილი გეოგრაფიისა უფრო ადვილი გასაგებია და საჭიროც არის ისტორიის შესწავლის დროს.

(დასასრული შემდეგ №-ში)

დღიური

* * სურამილამ გვატყობინებენ, რომ ამ აპრილის 4-ს იქ ერთ ქანდარმის სალდათს თავისი ცოლისათვის თავი მოუჭრია ხმლით. ამბობენ რაღაც ექვისაგამოვო.

* * ბორიღან გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში იქ რკინის გზის დახლი გაუ-

ტყხიათ და 500 მანეთამდის მოუპარავეთ.

* * ჩვენ გვითხრეს, რომ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეკზარხოსი იონიკე ძალიან ცდილობს, რომ რაც შეიძლება მალე ვახსნას თბილისში საეპარხიო საქალებო სასწავლებელი. ამ საგნის შესახებ 5-ს აპრილს ჰქონიათ თათბირი და ყოვლად სამღვდელოს პლექსანდრეს 1600 მანეთი შეუწირავს ამ სასწავლებელისათვის.

ხმა არის, ვითომც გრაფი ლორის-მელიქოვი ინიშნება პოლიციის მინისტრად.

* * ჩვენ ვავიგონეთ, ვითომც მუთაის-ში აპირებენ ქართული სასულიერო ჟურნალის გამოცემას. ბამამცემლად ასახლებენ ვინმე მღვდელს ხელაშვილს.

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო

ნათქვამია: „მარტი პატარძალია, დღეში სამჯერ მოირთვება და სამჯერ მოიფუშება“. სწორედ წელს ცხადათ გამოაჩინა თავის დაუდევარი ხასიათი ამ თვემ—ეს არის თავდება და ერთი არ გვინახავს, რომ დილიდგან საღამომდის ან კარგი დარი ყოფილიყვეს, ან ცუდი: ხან დილით სწვიმს, შუადღეზე ბრწყინვალე მზე ანათებს, საღამოზე თოვლის ფანტელეები წვიმის წვეთებში არეული ცვივა მიწაზე, ხან დილით დარია, შუადღეზე რამდენიმე მინუტს მზე გამოაჭყეტს თვალს და შემდეგ ისევ წვიმას დაიწყებს. წარმოიდგინეთ, რომ ამ თვეს კაცის ხასიათზედაც კი ჰქონია გავლენა: აი მაგალ. მე ძალიან მოვიწოდებ ერთი რამ ყურადღების დირსი ამბავი ამეწერა მკითხველისთვის, მაგრამ ერთის მაგიერად ათი და ოცი მააგონდებოან; ერთს ვერ ვსჯერდები და ყველას დაწერილებით და საფუძვლიანად აწერა დროსი და ადგილის უქონელობით მოუხერხებელია. რა გაეწყობა, ერთის მაგიერად რამდენიმეს ვიამბობთ.

ღღეს შემხვდა დ. ონის ქუჩაზე მღ. ბლალ. ბიორგობიანი, რომელმაც საყვედური მითხრა შესახებ ჩემი კორრესპონდენტისა, რომელიც იყო დაბეჭდილი „ღროების“ 59 №-ში. რადგანაც მე მ. ბიორგობიანზე სრულებით არაფერი დამიწერია, იმისთვის მისმა საყვედურმა ძლიერ გამაკვირვა; მაგრამ ბოლოს აი რა აღმოჩნდა: ამას წინეთ „ღროებაში“ იყო აწერილი მღვდლის ბობეჯ. ლოთობა და ბოლოს ჰქონდა დამატებული ავტორის, უ. ძარამაგელის შემდგომი სიტყვები.

„ამისთანა შემთხვევას (ლოთობას) ადგილობორაფი ზედამხედველი (ე. ი. ბიორგობიანი) გულ გრილად უყურებს, რადგან.....“ (წერტილებით თავდება ძარამაგელის სიტყვები.)

მე თუმცაღა ვსთქვი, რომ ძარამაგელის აღწერილი ფაქტი შესახებ მღ. ბობ. ლოთობისა ნამდვილი არის მეთქი

მაგრამ ადგილობრივს მთავრობას სრულებით არ შეეხებოდა; მ. ბიორგობიანს კი სხვანაირად მიუღია ჩემი სიტყვები: ვითომც მეც იმ აზრის ვიყვე და კიდევაც ვამტყიცებდე ამას, რომ ის გულ გრილად უყურებდეს მღვდლების ცუდს ყოფაქცევას. ახლა საჭიროდ ვრაცხ ვსთქვა, რომ ჩემი სიტყვები, „ღროების“ 59 №-ში დაბეჭდილი, სრულებით არ შეეხება მღვდ. ბიორგობიანის, რომელმაც, როგორც ადგილობრივმა მღვდლების უფროსმა, არათუ გულ გრილად შესხვდა მღ. ბობ. ცუდს ყოფაქცევას, მეორე დღესვე, შემდეგ აწერილი შემთხვევისა, აცნობა ყოველი ფერი გარემოება მღვდელ-მთავარს, და ამ უკანასკნელის მინდობილების ძალით კიდევაც გააძიძია ეს საქმე.

წელს რაჭაში ხმელი ზამთარი იყო და ამისთვის ხალხი ხშირად ხდებოდა ავად-ზოგი ცივებით, ზოგი სნებით, ზოგი ანთებით და სხ. ბავარდა ხმა, რომ ს. ლებში ერთი სნეულება გაჩნდა, რომ ბუზებისავეთ სწყვეტს ხალხსო. ამაზე დიდი ფაცა-ფუცი შეიქნა—ფიქრეს სწორეთ ჭირი გაჩნდა—და პოლიციის პრისტავი საჩქაროდ წავიდა ამბის შესატყობად, მაგრამ მის მოტანილს ამბავს არ დასჯერდნენ; შემდგომ წავიდა აქიმი და ამან სთქვა თუ ლებში ცივებას მეტი არაფერი სნეულება არ არისო და არც ხალხი იხოცებოა. არც ამის სიტყვა დაიჯერეს. ბავინდეთ და მუთაისიდან გულ-და-გულ ამ საქმისთვის გამოგზავნილი კაცი მოვიდა და მოიტანა ლებერნატრის ბრძანება, რომ ენერგიული ღონისძიება მიედოთ და როგორმე მოესპოთ ეს საშიშარი ჭირი (ჭირი კი არსად იყო). მახრის მმართველმა მოახდინა ფიცხელი განკარგულება: გაყო მრთელი მახრა ნაწილებად და თვითეულს ნაწილს მიუჩინა პოლიციის ჩინოვნიკი, რომლის მოვალეობა ის იყო, რომ სოფლები გაეწმინდა, გაესუფთავებინა და თვითონ გაემგზავრა ს. ლებში ნამდვილი ამბის შესატყობად. როგორც ამბობენ უფხდის მმართველს თურმე ძალიან ეშინოდა ჭირისა, მაგრამ, როგორც ის აგრეთვე მისი მხლებლები ძალიან გაფთხილებით შევიდნენ ლებში: თვითეულს მათგანს თითო თავი ნიორი ჰქონდათ ცხერიში შეკეტებული (ამბობენ ნიორს ჭირი არ მიეკარებაო).

შემდეგ ამდენი შიშისა აღმოჩნდა რომ ლებში მართლა გარდა ცივებისა არაფერი სნეულება არ არის და ამ ნახევარი წლის განმავლობაში არც შეიღი სულის მეტი კაცი მომკვდარა.

1873 წლიდგან იძახიან, თუ მუთაისითგან ონამდის საფოშტო გზა უნდა გაიშართოსო; ეს მთავრობისგან გარდაწყვეტილი არისო; მაგრამ ვინ იცის როდის ეღირსება რაჭას ეს ბედნიერება! დიდი იმედი გვაქვს ჩვენი ხალხი მახრის უმფროსის უ. ბეიკენისა, რომელსედაც ბევრი რამ კაი გვესმის, მაგრამ ის ჯერ არ მოსულა რაჭაში. თუმცაღა წასრულს იანვარში ველოდით მას, მაგრამ დღესაც, როგორც ისმის, მუთაის-



ში სცხოვრობს—რაჭა მოსაწყენი ალაგია.

მა მეორე წელიწადი გადის, რაც რაჭაში დაწესდა „გამსახ. შემნ. ამხანაგობა“ რომელსაც გახსნისათავე ზოგიერთებმა ექვიანი თვალთ შეხედეს და კარგი ბედი ვერ უწინასწარმეტყველეს (იხილე გაზ. „Кавказ“ № 124 1877 წ.) ეს წინასწარმეტყველება, ჩვენ და სამწუხაროდ, თითქმის ძართლდება: ცხრა თვე გადის უმეტესმა ნაწილმა წევრებისამ არ ვიცით რა მდგომარეობაში არის ამხანაგობის საქმე. მოუთმენელად ველოდით თებერვალს, როდესაც, წესისამებრ, ჩვეულებრივი კრება უნდა მომხდარიყო ანგარიშის დასამტკიცებლად და სარგებლის გასანაწილებლად ამხანაგების შორის, მაგრამ ეს მარტივად დაილია და ჩვენ ჯერ კიდევ არაფერი შეგვიტყვია. ახლა იძულებული ვართ მივმართოთ ამხანაგობის რჩევის წევრებს უფ. ა. ბ. და შ. ჯ. გვაცნობონ ამხანაგობის საქმე. საზოგადო კრება რათ არ იყო ფებერვალში? თუ იყო, (იქნება მე ვერ შევიტყე) რამდენი წევრი დაესწრო, ან რა საქმეები განიხილეს? სარგებელი თუ გაანაწილეს ვის მისცეს და სხვ. პელით პასუხს მოუთმენელად.

ჩხრეკია რაჭველი

დ ო ნ ი, 28 მარტს 1879 წ.

განცხადება

გაიზარტა სახელოსნო რომელშიაც მსურველს შეუძლიან გააკეთებინოს შემდეგი სამეურნეო იარაღები:

ბ ე ვ რ ი ნ ი კ. ა ე ა ლ ი შ ვ ი ლ ის ა.

მა ტ ა რ ე ბ ე ლ ი (პ რ ი ვ ო დ ლ) ამ კვერისათვის, თ. პ რ. ჩოლაყ შვილისებური, ამ ჟამად გაუკეთებელი მისგანვე.

მა ტ ა რ ე ბ ე ლ ი (პ რ ი ვ ო დ ლ) ისევ ამ კვერისათვის, ნიკ. ა ე ა ლ ი შ ვ ი ლ ის ე ბ უ რ ი, მ ე ხ ა ნ ი შ ვ ო თ ი. საჭიროდ ვ რ ა ც ხ ა ვ ვ ა ც ნ ო ბ ო მ ე უ რ ნ ე თ ა, რომ ხსენებული კვერი შარშანდელ კვლობაზედ ახლა დაღ გაუკეთებელია, და თუ რამ და მ ა ტ ე ბ ა და შეცვლა ეჭ რ ე ბ ო და ახლა

შეცვლილია და შესრულებული იმ და მ ა ტ ე ბ ა ე ბ ი თ ა.

ამ იარაღების შემოკვეთა შესასცა ჰსურს, უნდა მიჰმართოს ნ. ა ე ა ლ ი შ ვ ი ლ ის ს ო ლ ო ლ ა კ ზ ე დ, პ ო ჯ ო რ ის ქ უ ჩ ა ზ ე დ, ა მ ბ ა რ ც უ მ ო ვ ის სახლში, № 2, ნ ა შ უ ა დ ლ ე ვ ის 4-ან 7 საათამდის.

შოთი-თფილისის ჩინის გზა

9 აპრილიდამ დაიწყება საქონლის და პასაჟირის პოეზდის სიარული № 5 შოთიდან თფილისამდინ და № 6 თფილისიდან შოთამდინ, ქვემო მოყვანილ წყობილებით:

პ ო ე ზ დ ი № 5				პ ო ე ზ დ ი № 6			
სტანცია.	შოთის.		თფილის.		სტანცია.	თფილის.	
	საათ.	მინ.	საათ.	მინ.		საათ.	მინ.
შოთი	—	—	6	45	თბილისი	—	—
ჩოიონი	1	25	2	20	ზორი	4	15
ქვირილა	3	46	4	39	მიხაილოვა	6	25
მიხაილოვა	9	36	10	06	ქვირილი	11	44
ზორი	11	55	12	20	ჩოიონი	1	24
თბილისი	3	51	—	—	შოთი	6	35

პასაჟირის პოეზდი № 1 შოთიდან და № 2 თფილისიდან, ამას გარდა საქონლის პასაჟირის № 7 სურამიდან და № 8 თფილისიდან უწინდელ წყობილებით ივლიან. (3—1)

ქუთაისის სააღმოსაქმნელ-გაგონილო ბანკის გაგონილება

საუკველთავეოდ აცხადებს, რომ: ა, ეს ბანკი ამ მარტის 10 რიცხვიდან, მოკლემადიან სესხს აძლევს ხუთას (5000 მან.) თუმცავე, და ბ, მოკლემადიანი სესხის სარგებლად იღებს იმ პირთაგან, რომელთა ბანკის დასაღმენად ფული არ ფუშბანიანთ, ცხრის მაგიერ რვა ასეულს პროცენტს. (3—2)

რ.ბ.გზა.	დღა.	საღა.	II კ.	III კ.	ბელეგრადი	მანკაპ.	მაზანდა	მანკაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	კაპ.	მ.კაპ.	მ.ცი ნიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 5 აპრილს.		მრეწვ.ს მაედანზე, წ. ნამღვარავის სახლში.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ძაგისის აქთა მზრის ყველა ქალაქებში	50	ფქვ. თფ. ბანჯისა, ფთ. შველი წითელი	160	ავთმყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დღის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი	11 58	9 43	3	153	როსტოვ, მდესს, მოსკოვ	2	ქერი ფუთი	125	მ. რ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი და ბა რ ლ ე ი ჩ ი — შინაგ. ავთ., შიუნჩა რიანტ—ქალის ექიმი და საშვი- ლოსნოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	4	73	პეტერბურს, პარშაფს	2	ბამბა მრეწვისა, ფუთი	730	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — ში- ნაგ. ა. ბახუტოვი — საბებიო და ბაგ- შვის. პეუნოვი — თვალის.
სურამი	1 44		4	90	მსმალტოშ, შვეიცრაში	3	ბამენტოლი ბ მბა ფუთი	840	მ თ ს შ ა ბ ა თ ი: მერმიშვი ში- ნაგანი ავთმყოფობის.
ქვირილა	5 49		7	21	იტალიაში და სფრანგეთში	3	მატყელი თუშური ფუთი	960	ს ხ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — ში- ნაგ., შიუნჩარიანტი — იჭილიტიკუ- რი და ხაშრდვ ორგანების.
ჩოიონი	6 57		8	44	ინგლისში	3	აბრეშუმი ნუხური სტ	650	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშვი — შინაგ. ა. ბახუტოვი — საბებიო, ქალისა და ბაგშვიების.
სამტრედია	7 51		9	66	ფ ო რ მ ბ ა	3	— მარაქმისა ფუთი	740	პ ე უ ნ ო ვ ი — თვალისა.
ახალ-სენაკი	8 43		10	71	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მ.ზურ. — პარასკ. და ორშ. ძა- ხეთს — საშუ. და შაბ. ბ) ქუთაი- სიდან: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.ზურ- გეთს — ორშ. და პარასკ.	50	აბრეშუმი ნუხური სტ	210	
შოთი	9 50		12	24	ფ ო რ მ ბ ა	75	მარაქმისა ფუთი	550	
შოთი	9	3			წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ. და სამზღვარ გარეთ:		აბრეშუმი ნუხური სტ	755	
ახალ-სენაკი	10	14	1	53	ლა წიგნის	4	ქონის სანთლი ფუთი	1260	
სამტრედია	11	5	2	61	ლა გუბილის (ხამი მისხალი)	8	სტეფანის სანთელი, ფთ. ხორცი ძროხისა, ლიტ. — ცხვრისა, ლიტრა	18	
ჩოიონი	12	13	3	84			სპირტი ვედრო	18	
ქვირილა	1	18	ლაგე.	5			შაქარი, ბროც. ფუთი	60	
სურამი	5	12	110	734			უხენილი ფუთი	35	
ხაშური	5	39	137	751			ქავა გრგვლი, გარვ.	50	
ზორი	7	5	4	89			ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	80	
მცხეთა	8	50	6	59			თამბაქო, ხაშულო ფთ.	740	
თფილისი	9	31	7	56					